K 13453

სარგის კაკაბაძე.

საეკლესიო რეფორმებისათვის

სოლომონ პირველის დროს

ტფილისი
სტამბა, ბ. ა. ქილაძისა, ველიამინოვის ქუჩა № 6.
1913

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებთა შორის მოიპოვება რამოდენიმე ფრიად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც შუქსა ფენს იმერეთის მეფის სოლომონ I-ის მოღვაწეობას საეკლესიო საქმეების გაუმჯობესებაში. სოლომონ I-ის მოღვაწეობა ჯერ კიდევ არ გამხდარა სერიოზულ გამოკვლევის საგნად და მით უფრო საინტერესოა ქვემოდ მოყვანილი საბუთები. ზოგი ამ საბუთთაგანი უკვე ცნობილია ლიტერატურაში*), მაგრამ შეცდომებით. პირველი საბუთი შეეხება ქუთათლის კათედრის აღდგენას და წარმოადგენს საეკლესიო და საერო კრების დადგენილებას ამის შესახებ 1759 წ. საბუთი დაცულია ქუთაისის საყდრის დოკუმენტებში (№ 1), დაწერილია ქაღალდზე ზომით 130×31²/₃ სანტიმ. ნიშნად იხმარება თითო წერტილი ყოველ სიტყვის შემდეგ. სიგელი იბეჭდება ღვთისმეტყველურ წინასიტყვაობის გამოშვებით.

...[მე]...იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვანმან... თვითმპყრობელმან მეფეთმეფემან სოლომონ და დედოფალთ დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და შემოვკრიბეთ წმინდანი და ყოვლად სამღდელონი დასნი და მართლმადიდებელნი ერნი მორჩილნი ქრისტესნი და მსმენელნი სიტყვისა ჩემისანი თავად უფალი ჩვენი ყოვლად სანატრელი ღვთივ ცხებულთა ასულთაგან ნაყოფი რაჭის ერისთვის ძე კათალიკოზი ბესარიონ, ჭყონდიდელ მიტრაპოლიტი დადიანისძე გაბრიელი, მრჩობლისა ცხოვრებისა სასო ჩვენი უფლისწული მრწემი ძმა ჩემი ყოვლად სამღვდელო გენათლის მიტრაპოლიტი იოსებ, შამოქმედელ მი-

*) Д. Пурцеладзе, Грузинскія церковныя гуджары.

ტრაპოლიტი გურიელისძე ნიკოლოზ, ცაგერელ მიტრაპოლიტი დადიანისძე გრიგოლ, კანელ მთავარეპისკოპოსი არგვთ ერისთავისძე იოსებ, ნიკოლოზ წმინდელი მიტროპოლიტი გერმანე, ბერძნის მიტროპოლიტი დასკალი დანიელ, ჯუმათელ მიტროპოლიტი *) კინოწმინდელი მიტროპოლიტი მაქსიმე, ცაიშელ მიტროპოლიტი *) ბედიელ მიტროპოლიტი იაშვილი მაქსიმე, მთავარეპისკოპოს ყოფილი ნიკოლოზ და სხვანი ყოველნი სამღდელონი არქიმანდრიტ მღვდელმონაზონ წინამძღვარნი,, მღდელნი და დიაკონნი და ჟამთა ვითარებისაგან გარცვნილის ეკლესიების განახლება ვინებეთ, რ´ ცოდვათა ჩვენთაგან ქუთათისის ეკლესია ყოვლად წმინდის ტაძარი კელთ ეგდო მძვინარეს აგარიანს და მიზეზითა ამით საქუთათლო მამული და სამრემლო მიმობნეულიყო და რომელიმე დაშთომილიყო, საეროთ გამხდარიყო და ქუთათელი აღარ იჯდა ახლა ჩვენ ვინებეთ განახლება და წმინდასა ამას კრებასა მოგახსენეთ და თქვენც კეთილად აღგიჩნდათ და ვითარც შვენოდა სიწმინდესა თქვენსა, ეგრეთ შემწე გვექმნენით და ინებეთ საქუთათლოს მოუშლელობა და ჩვენც ამას გევედრეთ და აწ მინდობითა ქრისტესითა და შუამდგომლობითა თქვენ მიერთა ასე განვაწესებთ და დავამტკიცებთ, აწ და უკუნისამდე რათა შეუცვალებელად ეგოს საქუთათლო ესე და დავაჯდინეთ ქუთათელი ესე და გაკურთხებინეთ ქუთათლად აბაშიძე მაქსიმე და აწ გაწესებთ, რათა ამიერიდგან უკუნისამდე შეუცვალებელად ეგოს, ვითარცა წმინდამან ამან კრებამ განაწესეთ და დაამტკიცეთ. ასე რომ საქუთათლო სახასო მამული სადაც იყოს და ან ვისაც ქონდეს ყველა უკლისად საქუთათლოდ ეგოს ამიერ უკუნისამდე. ვინც ამისა შემდგომად ქუთათელი დაჯდეს, ყოვლის კაცისაგან შეუცილებლად ქონდეს, ამას და შემდგომსა ამისსა უცილებლად, ასე რომ რაც ხელმწიფის სამართალი იყოს, ლაშქრობა, ნადირობაქვე და ყნის

*) აქ თავისუფალი ადგილია დატოვებული. იმის ზეით მიწერილია ტექსტის ხელით: არ იჯდა უნდა არ მოიშალოს.

მოსავალი საქმე, რომელიც რიგი იყოს, თორემ სხვა არა ეთხოვებოდეს რა, თვინიერ ქუთათლის უდასტუროდ. არც ძალი და უსამართლობა დაემართოს, არცა ვინ მოურავი და უფროსი დაუდგეს მას მამულშიდ, თვინიერ მისის ყმის მეტი, ასე ხელშეუალათ საქუთათლოდ იყოს. ამას გარდა ესეც განვაწესეთ წმინდა კრებამ, რომ რაც ამის სამრემლო იყოს და სჯულიანი სამართალს რიგით საკანონო საქმე მოიკითხოს, წინ არავინ აღუდგეს და შლად არა ხელ ყოს .....კაცთაგან მოწამე ამისი დადიანი ბატონი კაცია, გურიელი ბატონი მამია, უფლისწული ბატონიშვილი გიორგი, უფლისწული მამუკას ძე თეიმურაზ, უფლისწული ბაგრატ და არჩილ, დადიანისძე მანუჩარ, ნიკოლოზ, გიორგი და კვალად გიორგი, გურიელისძე გიორგი, სპასპეტი სპასალარი სტრატილატი და ვიპატოსი იესის ძირთა ასულთაგან ნაშობი ერისთავი როსტომ*), წერეთელი ქაიხოსრო და ნიკოლოზ, წულუკიძე მერაბ, ხოსია და კაცია, ქუშიკთუხუცესი მხეიძე გიორგი და ვახუშტი, ციხისთავი აგიასშვილი ქაიხოსრო (შავად აწუობილი ჩამატებულია) ერთობით დარბაზის ერნი მიქელაძენი, ნიჟარაძენი, ლორთქიბანიძენი და ღოღაბერიძენი, იაშვილი ვახტანგ და ლევან, მოურავი მაჭავარიანი ქაიხოსრო, მოურავი აბაშიძე ბერი და მისი შვილი დავით, სახლთუხუცესი მესხი პატა, მოლარეთუხუცესი მესხი ამირან და თამაზა, მესტუმრეთუხუცესი წერეთელი ბუჭუა, მდივანი დავით (ეს სტრიქონებს შუაა), მელვინეთუხუცესი ავალიანი სულთამ, ვზინდართუხუცესი გამყრელიძე და სხვანი ყოველნი სამღდელონი და საერონი სახლისა ჩვენისანი და სრულიად იმერნი ოდიშარნი და გურიულნი. მე არქიმანდრიტს, ჩემი კელმწიფის კარის წინამძღვარს მღდელ მოწოზონს ღოღაბერიძეს სილიბისტროს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა სიგელი ესე ქრისტეს აქეთ ჩღნთ, დასა-

---

*) [წულუკიძე მერაბ, ხოსია და კაცია, სარდალი წერეთელი ქაიხოსრო და ნიკოლოზ] ეს ყოფილა უწინ. ასოების ზედა ნაწილი მოსჩანს.

ბამიდგან ვიდრე აქამომდე კსჲზ, ინდიკტიონსა ზ, თვესა დეკემბერსა დ, დღესა ზ.

ასომთავრულად ერთის ხელით: მეფე სოლომონ ვამტკიცებ ნებითა ღთისათა.

დედოფალი მარიამ ვამტკიცებ ნებითა ღთისათა.

† კოზი ბესარიონ ვამტკიცებ ნებითა ღთისათა.

დასმულია ბეჭდები მეფის სოლომონისა,

დედოფალ მარიამისა და კათალიკოზ ბესარიონისა.

ქ:. უფლისწული გიორგი ვამტკიცებ.

უფლისწული თეიმურაზ ვამტკიცებ.

ხუც. ასომთავ. ერთის ხელით:

† ჭყონდიდელი გაბრიელ ვამტკიცებ.

† გენათელი იოსებ ვამტკიცებ.

† შამოქმედელი ნიკოლოზ ვამტკიცებ.

† ცაგერელი გრიგოლ ვამტკიცებ.

† ხონელ მთავრ ეპისკოსი იოსებ ვამტკიცებ.

† ბერძნული მოწერა დანიელ მიტროპოლიტისა.

†

†

† ბედიელ მიტროპოლიტი ვამტკიცებ.

მხედრულად: ქ:. რაჭის. ერისთავი. როსტომ. ვამტკიცებ ნებითა მღთისათა.

დასმულია ბეჭდები.

მეორე საბუთი წარმოადგენს აგრეთვე საეკლესიო კრების განჩინებას ხონის საყდრის სახუკო და სამრევლო გამოსაღების შესახებ 1761 წელს. სიგელი დაცულია ხონის საყდრის საბუთებში (№ 1), დაწერილია ქაღალდზე ზომით 130×32 სანტიმ. სიგელი იბეჭდება შემოკლებით რიტორიულ მრავალსიტყვაობის გამოშვებით.

....იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვანი თვით მპყრობელი მეფეთმეფე სოლომონ და თანამეცხედრე ჩემი დედოფალთ დედოფალი დადიანის ასული მარიამ, პირმშო ძე ჩვენი სსურველი ალექსანდრე..... შემოვკრბით მადლის მიცემად ღთისა და განახლებად ეკლესიათა და ტაძრისა ამის ხონის წმინდის გიორგის ტაძრის განახლება და განთავისუფლება ვინებეთ და დავაყენეთ მთავარეპისკოპოსად ერისთვის ძე მოველ ყოფილი იოსებ მოვიკითხეთ და ეკლესის გუჯარი ვერ ვნახეთ, ჟამთა ვითარებისაგან დაკარგულიყო. არც სამრემლოსი შემოსავალის, არც ნიშნის, არც სახუცოსი, არცეთის წიგნი აღარ იყო. ამაზედ შემოვკრიბეთ თავად უფალი ჩვენი ყოვლად ნეტარი კათალიკოზი ბესარიონ, უფლისწული ძმა ჩვენი ყოვლო ღიენეთლიის (sic) მიტროპოლიტი იოსებ, ჭყონდიდის მიტროპოლიტი გრიგოლ, ქუთათელ მიტროპოლიტი მაქსიმე, შამოქმედელ მიტროპოლიტი ნიკოლოზ, მიტროპოლიტი დანიელ, ბედიელ მიტროპოლიტი მაქსიმე, იერუსალიმის პატრიარქის ვექილი სვიმეონ, არქიმანდრიტი წინამძღვარ მონოზონი დაყუდებული გერმანე და სხვანი ერთობით ლიხთ იმერთა კრებულნი და ეკლესის ნიშანი, სამრემლო და გამოსავალი და სახუცო მოვიკითხეთ და წმინდამ ამ კრებამ ასე დამტკიცეს და ბძანეს: როგორათაც ჭყონდიდის სამწყსოშიდ იყოსო, გენათლისა და ქუთათლის სამწყსოშიდ, იმასაც ეგრეთ განუწესოთო. ახლა ჩვენც გრეთ ვამტკიცებთ, როგორათაც სხვა სამრემლოშიდ იყოს. თავადისა და საპატიოს კაცის შვილის, აზნაურის შვილის ნიშანი, ეგრეთ განგვიწესებია. სახუცო, როგორც საქუთათლო, საგელათოს მართებს, მესამე მესამე წელიწადს მარჩილი მღდელსა და ორი რუბი მთავარს. სხვას რამთენი საყდარი სოფელშიდ იყოს, თუ მოიცალოს თვითან მთავარ ეპისკოპოსმან ჩამოიაროს და სწიროს, თორემ დეკანოზი ჯვარ მტვირთველი და მის მაგიერი კაცი გაგზავნოს და აწირვინოს. საწირავი კვამლის თავს ან თითო შაური და ან თითო შაურის პური იყოს თუ ღომი მოერთმევოდეს და დე-

კანონზსა და ჯვარსა და ჯვარ მტვირთველს მისი მართებული სარჯულო და საკანონო საქმე ყოველს წელს მოიკითხოდეს. ასე განგვიწესებია თავადი, საპატიოს კაცის შვილი აზნაურისშვილი ვინც იყოს, სადაც სამრემლო ამ ხონის წმინდის გიორგის იყოს, ყველა შეძლებისაებრ ნიშანს მიართმიდეს და გლეხი მესამე მესამე წელიწადს შაური მთავარეპისკოპოსს და შაური ჯვარსა და ჯვარმტვირთველს. სხვა სარჯულო და საკანონო საქმე რაც იყო სამართლიანის გზით მოეკითხოდეს და მოერთმეოდეს. ასე კრებით დაგვიმტკიცებია... (წყევა. შემშლელი შეჩვენებულ იყოს შვიდთა კრებათაგან და 4 პატრიარქთაგან და ჩვენის კათალიკოზის ბესარიონის და მისთა კრებათაგან...)

მე არქიმანდრიტს ლოლაბერიძეს, ჩემის ხელმწიფის კარის წანამძღვარს მღდელ მნოზონს სილივისტროს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. აღიწერა სიგელი ესე ქრისტეს აქეთ ჩღჲ, დასაბამითგან კსჲთ, თვესა აპრილსა კგ, დღესა თვთ გიორგობის დღეს ბ. დიდის გამოწლვილვით გამოვიძიეთ და ეს რაც ამ გუჯარშიდ დავსწერეთ, გენათლის გუჯრს მოწმობით, ჭყონდიდლისა და ქუთათლის გუჯრის მოწმობით დავაწერინეთ და დავამტკიცეთ. დამამტკიცებელი ამისი განამტკიცოს უფალმან მრჩობლის ცხორებით აწდა უკუნისამდე ამინ:. სხვა მელნით: ქარჩხაფის ბატონს ჩხეიძეს ნიშანი მართებოდა და ქარჩხაფი ახლა წულუკიძეს უჭირავს და ნიშანი აძეს და მთავარებისკოპოს მისცემდეს.

დასმულია ბეჭდები სოლომონ მეფისა და დედოფალ მარიამისა.

ქუთაისის საყდრის საბუთებში მოიპოვება კიდევ 2 საბუთი, რომელიც ახასიათებს სოლომონ I-ის ზრუნვას საქუთათლოს სამწყსოსადმი. პირველი საბუთი (№ 2) დაწერილია ქაღალდზე ზომით $88^1/_2 \times 31^1/_2$ სანტიმ. მეორე (№ 3) 89×31 სანტიმ. პირველი მიცემულია 1766 წ., მეორე ამავე ხანებში. ნიშნად იხმარება თითო წერტილი. ორივე სიგელი იბეჭდება შემოკლებით.

...იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვანი ცხებულთაგან ნაყოფიერმან მეფეთმეფემან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩვენმა დადიანის ასულმან დედოფალთ დედოფალმან მარიამ, პირმშომა და სასურველმან ძემან ჩვენმა ბატონიშვილმა ბატონმა ალექსანდრემ... ესე... წიგნი და სიგელი მოგართვით ქუთათის ღთისმშობელს და მისს სასოს მღდელთ მთავარს ქუთათელ მიტრაპოლიტს მაქსიმეს... ასე რომ ვინადგან ქუთათისი აგარანთ ეპყრა, შენ მცირე ეკლესია აღაშენე მაღლაკს ჟოჟოლიანების ადგილში, ქუთათისის ღთისმშობელი იქ დასვენე. გვევედრე მისი შემავალის კაცის განთავისუფლებას, ვისმინეთ მოხსენება თქვენი. საური ამოუკვეთეთ, რაც მაგ ეკლესიას ყმა ჰყავს, მაგ ეკლესის შემავალი ზედა მაღლაკს და ქვედას მალლა (sic) არსოდეს საური არ ეთხოსთ... ამის მუქაფად... ყოველს აღდგომას თვითან ქუთათელი ჩვენთვის ჟამს გვიწირევდეს ამ საურის აზატი მღრდელი და მთავარ დიაკონი ყველა სრულობით... არის ამისი მოწამე ჩვენი სასურველი ძმა ბატონიშვილი გენათელ მიტროპოლიტი იოსებ, წერეთელი ქაიხოსრო, სალთხუცესი პატა მესხი, წერეთელი ნიკოლოზ, აბაშიძე ქაიხოსრო, ამირან მესხი, თამაზა მესხი .. მე დავით მდივანს დამიწერია, მოწამეცა ვარ, აღიწერა... ჩღჲვ იანვარს კგ.

ბეჭედი სოლომონ მეფისა და თეიმურაზ ბატონიშვილისა.

გასხზე: ამ საურის აზატს კაცს დაგადევით, თქვენც დაიდევით ჩვენად სამლოცველოდ თითო აბაზის სამთელი ყოვლს წელიწადს მოსხლის თვს წმინდის მღთისმშობელს ეკლესიას მოართმევდეთ.

ბტონის ჩვენის უხუცესის სიგელსა ამას ეკკლესიისა შეწირულობასა ჩვენცა უმრწემესი ძმა მაგათი გენათელ მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსებ მამტკიცებელ ვართ...

ბეჭედი მეფისძის იოსებისა.

ქ: ჩვენ: მღთის: ძლევით: ზეშთა: აღმატებული: ძლიერი: და უძლეველი: იესიან: დავითიან: სოლომონიან: პაგრატანთაგან: ძე: მეფეთ: მეფე: ბატონი: და: პატრონი: თეიმურაზ: ვამტკიცებ:...

...ღთივ გვირგვინოსანმან... იესიან დავითიან პანკრატონ-
მან მეფეთმეფემან სოლომონ და დედოფალთ დედოფალმან
ასულმან დადიანისამან კეთილმორწმუნემან მარიამ პირმშომან
და სასურ სანტაროომ ახალ ნორჩმან ძემან ჩვენმან ალექსანდრე
გკადრეთ და შემოგწირეთ ესე შესაწირავი ახალ სოფელი ძვე-
ლად ჩვენთა მამაპაპათაგან ქუთათისისა მღთის მშობლისათვის
შეეწირათ და შემდგომად მძვინარის აგარს ნაშობს დაეპყრათ
ქუთაისი და შენი მამული რომელიც იყო, ოხერ და განბნეულ
ქმნილ იყო. ახლა ამჟამად მადლითა ძისა შენისათა და მეო-
ხებითა შენითა მძლე ვექმენ აგარანთა და თვინიერ ქუთათი-
სისა რაც სოფლები ქონდათ ან ქრისტეანი ყმა ყვანდათ, კე-
ლად ვიგდეთ. ეს ახალ სოფელი თათარს ეჭირა და ძალშემ-
წეობითა ძისა შენისათა აღარ დავანებე და შენ ქუთათისისა
მღთისმშობელს შემოწირეთ სოფლობით რაც ძველად ქუთა-
თისისა მღთისმშობლის ყოფილა და დღეს იხილვება უკლისათ,
ასე რომ რომელიც სამკვიდრო ყმა საქუთაველო (ეს ჩამატებულია)
სახლობს, ის კელშეუალათ და რომელიც ჩემი სახასო კაცი
ესახლოს, კაცი ჩემი იყოს და იმ ადგილს რაც ბეგარა ეკლე-
სის ემართოს, მიერთმეოდეს ასე ადგილ მამულით... ჩვენ
მიერ დადგინებულს მღდელთმთავარს ქუთათელ მიტროპოლიტს
აბაშიძის ძეს მაქსიმეს მოგაბარეთ ეს ახალ სოფელიც და სხვა,
საცა ჩვენს საბრძანებელშიდ საქუთათლო მამული იყო, დიდის
ცდით ამოვიღეთ... ვინც ეს მოშალოს, შეჩვენებულ იყოს
შვიდთა კრებათაგან ოთხთა პატრიარქთაგან და მისთა კრება-
თაგან და ჩვენის კათალიკოზის ყოვლად სანატრელის ბესარიო-
ნისაგან და მისთა კრებათაგან... კაცთაგან მოწამე და შუამ-
დგომელი ამისი მრჩობლისა ცხოვრებისა ჩვენისა სასო ნუგეში
და სატრფო სახარელი ძმა ჩემი მწმემი ყოვლად სამღდელო
გენათელ მიტროპოლიტი იოსებ და სხვანი მოწამენი ამისნი
ბიძა ჩემი ბატონისშვილი გიორგი და ძმა ჩემი უფლისწული
ბატონისშვილი არჩილ, სარდალი ჩვენი წერეთელი ქაიხოსრო
და ნიკოლოზ, აბაშიძე ბიძა ჩემი ქაიხოსრო, წულუკიძე პატ

და ბერი (ეს ჩამატებ.) მიქელაძე შაქარი და ზურაბ, სახლით უხუცესი მესხი პატა, მოურავი ნიჟარაძენი გიორგი, პატა და ქაიხოსრო, ქეშიკთუხუცესი ციხისთავი აგიასშვილი ქაიხოსრო, მხეიძე გიორგი, ჩხეიძე ოტია, ლორთქიბანიძე ქუთათისის მოურავი ბერი, მესხი ამირან, შინა უმა მესხი თამაზა (ეს ჩამატებ.) კარის მწერველი ჩვენი წერეთელი მღდელი სვიმონ, მესტუმრეთუხუცესი მესხი დავით, ქილიფთართუხუცესი წულუკიძე გიორგი, ვზნდართუხუცესი საყვარელიძე ბუჭუა (ეს ჩამატებ.) ქუტირს მოურავი გეგელიასშვილი ბერი და სხვანი გამგენი სახლისა ჩვენისანი დიდნი და მცირენი. მე არქიმანდრიტს ჩემს ხელმწიფის კარის წინამძღვარს ოლოაბერიძეს სილივისტროს დამიწერია... აღიწერა... ჩღ (sic) თვესა იანვარსა კთ.

> დასმულია ბეჭდები სოლომონ მეფისა, დედოფალ მარიამისა და მეფის ძის არჩილისა.

ხონის საყდრის საბუთებში (№ 3) მოიპოვება ამავე სოლომონ I-ის სიგელი 1764 წ. ხონის ყმებისათვის საუდიეროს ამოკვეთის შესახებ. სიგელი დაწერილია ქაღალდზე ზომით $44^2/_3 \times 32^1/_4$ სანტიმ. ნიშნად იხმარება თითო წერტილი ყოველს სიტყვის შემდეგ.

...ჩვენ ...იესიან დავითიან სოლომონიან პაკრატოვანმან მეფეთმეფემან პატრონმან სოლომონ და თანა მეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ ვინებეთ და ვიგულისმოდგინეთ მცირედი ესე მსახურება წინაშე შენსა, ასე რომე ქვეყნისა ამის განსაცდელთა და შფოთთაგან უდროობით ეკლესიისა შენისა შემომავალთა ერთა საუდიერო დასდებოდათ. ვინებეთ განთავისუფლება ყმისა თქვენისა... ამოგვიკვეთია საუდიერო საძალოდ სათხოვარი ხონის წმინდის გიორგის ყმისათვის, რომ ჩვენგან არა ეთხოებოდეს რა თვინიერ დაჭირვება თუ რამე იქნეს მეპტრონისა, თქვენის ნებით ემსახურონ და მიართვათ ან თქვენს ქვეყანას მობძანდეს და ემსახუროთ, რისაც შემძლებელი იყვნეთ. ამის ჩამოიდამი საუდიეროდ დადებით არა გეთხოვებოდეს რა, არც ღომი და არც ღვინო და არც ხორცი, არც ჩვენგან და არც ჩვენ-

თა შემდგომთა მეპატრონეთაგან. აწ ამისდა სამაგიეროდ დაგვიდს ყოვლს წელიწადს გიორგობას მთავარ ეპისკოპოსი დეკანოზი და მათი კრებულნი ყოველნივე ჟამს გვიწირევდეთ და მოხსენებას ყოფდეთ ჩვენად სადღეგრძელოდ და სულისა ჩვენისა საოხად... არის ამისი მოწამე დამამტკიცებელი სასურველი ძმა ჩვენი გენათელ მიტროპოლიტი იოსებ, ბიძა ჩემი ბატონიშვილი გიორგი, ძმა ჩვენი უმრწემესი ბატონიშვილი არჩილ, სახლთუხუცესი პატა მესხი, სხვანი კარისა ჩვენისა გამგენი დიდებულნი ერნი. აღიწერა წიგნი ესე დასაბამითგან ვიდრე აქამომდე კსდიბ, ქრისტეს აქეთ ჩღდ, ქრონიკონს უნბ. დედოფლის კარის მწირველს იშხნელს მღვდელს სვიმონს დამიწერია თვესა იანვარს თ.

ბეჭედი სოლომონ მეფისა და მარიამ დედოფლისა.

ქ. ჩვენ ყ^დ სამღუდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს ამ ჩემის კელმწიფის ბრძანებასა და სიგელის ნებიერ ღთისათა ვამტკიცებ...

ბეჭედი დოსითეოს ქუთათელისა.

განზე პირველ გვერდზედ: მეფე იმერთა და ძე არჩილისა სოლომონ დავითიანი. ნებითა ღისაოა ვამტკიცებ სახელ განთქმულსა დიდებულისა ბიძისა ჩემისა. მეფისა სოლომონისა. აღწერილსა ამას. სიგელსა... ჩღჟგ მაისს იდ.

ბეჭედი.

წყალობითა ღუთისათა ყ^დ სამღვდელო ჭყონდიდელ მიტროპოლიტი ბესარიონ ვამტკიცებ სიგელსა ამას....

ბეჭედი.

ქ: ჩვენ ყ^დ სამღვდელო გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვმი ამ ჩემის ხემწიფის ბრძანებასა და სიგელს ნებითა ღისათა ვამტკიცებ...

ბეჭედი.

მეორე გვ. განზე: წყალობითა ღთისათა ყ^დ სამღვდელო ცაიშელ მიტროპოლიტი გრიგოლ ვამტკიცებ.

ბეჭედი.

ყ^დ სამღვდელო მიტროპოლიტი დადიანის ძე ანტონი ნებითა ღთისათა ვამტკიცებ...

ბეჭედი.

[illegible]